


ფიფგონი



სარედაქციო ჯგუფი

ლადო იოსებაძე
რეტი თორდია
მარი გუნთაიშვილი
ცისანა ბურჯანაძე
თამარ არათანაშვილი
ნატალი ახვლედიანი
შორენა დათაშვილი

© გამომცემლობა პალიტრა L, 2021

ყველა უფლება დაცულია

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. 49

☎ 238-38-71

✉ book@palitra.ge

💻 www.palitra.ge

ISBN 978-9941-32-823-7

დაბეჭდილია შპს „კოლორში“

ჭ ა ბ ა ს ა მ უ შ ი ა

დიდბორის ბრძოლა

„ძლევაჲ საკვირველი“

გამომცემლობა პალიტრა L

„ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, – ეს იქნება იმისი ღვანლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!.. კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო – ამბობს ჩვენი ერი: – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდ-ბუნებოვანმა კაცმა – წაიყოლა სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი“.

ილია ჭავჭავაძე

„ვინც უკეთ იცოდეს, ჩვენ ნურას გვაბრალეbs, იმან დანეროს.“

ვახტანგ VI

ჩვენს მომავალ თაობას ვუძღვნი ამ წიგნს.
ბედის მეუფემ ასე იწება — ყველა თაობას
თავისი დიდგორი აქვს მოსაგები.

ავტორისაგან

დიდი ხანია, დიდგორის თემას ვუტრიალებ. პირველი წერილი ჯერ კიდევ 2004 წელს გამოვაქვეყნე. მომდევნო წლებშიც არა ერთხელ დავბრუნებივარ ამ საკითხს.¹ 2007 წელს დავიწყე დიდგორის ბრძოლისადმი მიძღვნილ წიგნზე მუშაობა.

ერთადერთი საკითხი, რომელიც წლების განმავლობაში მაფერხებდა, იყო დიდგორის ბრძოლის ადგილის განსაზღვრა. დაწერო წიგნი და ზუსტად არ გქონდეს წარმოდგენილი, სად გაიმართა ეს ეპოქალური შეტაკება, არასერიოზულად მეჩვენებოდა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, დიდგორზე ასვლის ჟამს, უცნაური შეგრძნება დამეუფლა — ველოდი ველს, სადაც გაიმართა ორ დიდ არმიას შორის შეტაკება, და შემრჩა გორები და ვიწრო გასასვლელები, სადაც არათუ დიდ ჯარს, რიცხვმრავალ რაზმსაც გაუჭირდებოდა თავისუფლად მოქმედება. ამავე პარიოდში მოვინახულე სოფელ დიღმის თავზე არსებული დიდგორის სერი.² მაშინ იქ არქეოლოგიური გათხრები ტარდებოდა. ახალი გახსნილი ჰქონდათ ერთი საფლავი და დაწყებული ჰქონდათ მისი შესწავლა. დღემდე მახსოვს ის განცდა, რომელიც დამეუფლა, როდესაც ერთ-ერთმა მკვლევარმა წარმოთქვა: — შესაძლებელია, ეს დიდგორის ბრძოლაში დაღუპული მეთომარი იყო-სო. დიდგორის მათა სისტემა თრიალეთის ქედზე, დიღმის თავზე სოფელ დიდგორის არსებობა, იქვე — ვრცელი ველი, ოდნავ მოშორებით კი — დავითის მთა — ვარიანტთა ასეთი სიუხვე ართულებდა ბრძოლის ადგილის მოძიებას. თრიალეთის დიდგორზე მოხდა შეტაკება თუ სოფელ დიღმის სიახლოვეს? ამ კითხვაზე პასუხი იყო გასაცემი. თავად თრიალეთის ქედზე დიდგორის მემორიალის მიდამოებიც ძნელად წარმოსადგენი იყო ბრძოლის ადგილად. ეს კიდევ ცალკე მსჯელობის საკითხს წარმოადგენდა. ამ ყველაფრის დალა-

გება ადვილი არ იყო, ამას ემატება ისიც, რომ ამ ადგილებზე ბრძოლის გამართვის მოსაზრებას საკმაოდ ცნობილი მეცნიერები უჭერდნენ მხარს. რთული იყო ამ შეხედულებათა უარყოფა, ანდა ახალი მოსაზრების შეთავაზება.

წლების განმავლობაში სხვადასხვა მხრიდან მომიწია დიდგორზე ასვლა, რათა ადგილზე შემესწავლა არსებული გადასასვლელები, გზები, ტოპონიმები. უნდა ვაღიარო, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებმა — ღრონებმა, Google Maps-მა — მნიშვნელოვნად გამიადვილა საკვლევი რეგიონის შესწავლა, მაგრამ ყველაზე მთავარი აღმოჩნდა ერთი საკითხის გარკვევა — რომელ ადგილს უწოდებდნენ შუა საუკუნეებში ქართველები დიდგორს? ბრძოლის ადგილის განსაზღვრაც სწორედ ამ საკითხის გარკვევასთან იყო დაკავშირებული.

შეიძლება ვინმემ იკითხოს, რა მნიშვნელობა აქვს კონკრეტული ადგილის ძიებასა და ამაზე დროის ხარჯვას, ამით ხომ არაფერი დააკლდება ან მოემატება დიდგორზე მომხდარ „ძლევაი საკვირველს?“ რა თქმა უნდა, ბრძოლის ადგილის მოძიება, ეს არის წმინდად სამეცნიერო საკითხი. სხვა მხრივ, დავით IV აღმაშენებლის მიერ გენიალურად ჩატარებული ბრძოლის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, დიდი ხანია, განსაზღვრულია. თუმცა იმის ცოდნა, სად, რა პირობებში გაიმართა ბრძოლა, ძალიან მნიშვნელოვანია. ამასთანავე, ქართული წყაროების სიტყვაძუნწობის წყალობით, დიდგორის ბრძოლაზე თითქმის არაფერი ვიცით, ამიტომ თანამედროვე მკვლევრები ცდილობენ მაქსიმალური ინფორმაცია ამოკრიბონ უცხოური წყაროებიდან, გააანალიზონ ისინი და, საბოლოოდ, არსებულ მასალაზე დაყრდნობით — გეოგრაფიული გარემოს, სამხედრო ხელოვნების ცალკეული საკითხების გათვალისწინებითა და წერილობითი წყაროების ცნობების საშუალებით — აღადგინონ 1121 წლის 12 აგვისტოს მოვლენები.

თავი I

თურქ-სელჩუკთა შემოსევები საქართველოში და „დიდი თურქობა“

XI საუკუნის 30-იანი წლებიდან, წინა აზიის მიმართულებით იწყება თურქული ტომების მასობრივი გადაადგილება. ამ პროცესმა სამუდამოდ შეცვალა რეგიონის ეთნიკურ-პოლიტიკური რუკა. სამხრეთ კავკასიის ხალხებმა და ბიზანტიელებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, თუ რა დამანგრეველი ძალა მოიწევდა მათკენ. პირველი ლაშქრობა ბიზანტიის შემადგენლობაში მოქცეულ სომხურ პროვინციებზე 1037/1038 წელს თურქ-სელჩუკებმა განახორციელეს სამხრეთ აზერბაიჯანიდან. სირიული წყაროების მიხედვით კი, პირველი დიდი ბრძოლა სელჩუკებსა და ბიზანტიელებს შორის მომხდარა 1037 წელს ქალაქ ბერკლის მიდამოებში, სადაც თურქ ოღუზებს სერიოზული წარმატებისთვის მიუღწევიათ. ამ დროიდან მოყოლებული, ბიზანტიის იმპერიის წინაშე, მართალია, მთელი სიმწვავით არა, მაგრამ უკვე დადგა ოღუზთა მარბიელი ლაშქრობების პრობლემა. XI საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, თურქები კიდევ უფრო ხშირად ანუხებდნენ ბიზანტიის განაპირა თემების მოსახლეობას. ბიზანტიის იმპერიის სამხედრო ნაწილებთან ერთად მეგრძოლი ქართველების პირველი შეტაკება თურქ-სელჩუკთა ლაშქართან მოხდა 1048 წლის სექტემბერში, როდესაც ბასიანში თურქმა სარდალმა, იბრაჰიმ იინალმა, დაამარცხა ბიზანტიელები და ტყვედ ჩაიგდო კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში.

XI საუკუნის 60-იანი წლებიდან თურქ-სელჩუკთა ლაშქრობები გააქტიურდა კავკასიის მიმართულებითაც. 1063 წელს ალფ-არსლანი თურქ-სელჩუკთა სულტანი გახდა. მან კიდევ უფრო გაზარდა სელჩუკთა დაპყრობითი ბრძოლების არეალი. წყაროების მიხედვით, 1064 წლის თებერვლის მიწურულს სელჩუკებს ბიზანტიის წინააღმდეგ გაულაშქრიათ. მომთაბარეებს რამდენიმე მიმართულებით გაუგზავნიათ მარბიელი ლაშქარი. სულტანი ქალაქ მარანდში შეჩერებულა, საიდანაც ნახჭევანში გადასულა. მდინარე არაქსის გადასალახავად სელჩუკებს ხომალდები მოუშადებიათ. ნათელი იყო, რომ მათი დარტყმის მთავარი მიმართულება საქართველო-სომხეთი იქნებოდა. სელჩუკებს ნახჭევანიდან ღრმა სამხედრო მანევრი განუხორციელებიათ თრიალეთისკენ, აქედან კი ალფ-არსლანს მარბიელი დაუგზავნია სხვადასხვა მიმართულებით. წყაროებში მითითებული პროვინციების მიხედვით ადვილია მტრის შემოსევის მარშრუტის განსაზღვრა: ყველისყურის (ეს უნდა იყოს ყველის ციხის შემავალი ქვეყანა) გავლით სელჩუკები ჯერ – შავშეთში, ხოლო იქიდან კლარჯეთში გადასულან, შემდეგ კი – ტაოში, ფანასკერტის ციხემდე მიუღწევიათ. აქაც მტერი მთავარ მაგისტრალს მიუყვებოდა. ნიშანდობლივია, რომ მემატინე არსად ახსენებს რომელიმე ციხის აღებას, რაც მიუთითებს სელჩუკთა ლაშქრობის ხასიათზე – მათი მიზანი დარბევა-დაზვერვა იყო და არა ქვეყნის დაპყრობა. „მატინე ქართლისას“ მიხედვით, მტრის შემოჭრა იმდენად მოულოდნელი ყოფილა, რომ სელჩუკებს კინაღამ ბაგრატ IV და სამეფო ოჯახი ჩაუგდიათ ტყვედ. მეორე ნაწილი ლაშქრისა ალფ-არსლანმა თორის მიმართულებით გაგზავნა. მტერი თრიალეთიდან ციხისჯვარი-თორი-ბაკურიანის სექტორში გადასულა, საიდანაც ღვიისხევამდე ჩასულა. ამავე პერიოდში ალფ-არსლანის ლაშქარი ახალქალაქს შემოეწყო. თურქ-სელჩუკთა შემოსევის წინ ახალქალაქის გალავნის მშენებლობა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, ამიტომ მესხმა მეზობლებმა ვერ